სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდის თემატიკა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით, მაქსიმალური შეფასება 100 ქულა.

საგამოცდო ბილეთი მოიცავს შემდეგ დავალებებს:

- ესსე - 40 ქულა;
- სამოტივაციო წერილი - 40 ქულა;
- ორი პედაგოგიური სიტუაციის/შემთხვევის ანალიზი - 20 ქულა (თითოეული ფასდება 10 ქულით)

გამოცდისათვის გათვალისწინებულია 3 საათი

ესსე-ს შეფასების რუბრიკა
(ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით)

1. შინაარსი და არგუმენტაცია (0-15 ქულა)

ქულები	აღწერა
13-15	თემა სრულყოფილად არის წარმოჩენილი. მოსაზრებები დასაბუთებულია ორიგინალური არგუმენტებით. გაკეთებულია ღრმა ანალიზი.
10-12	თემა კარგად არის წარმოჩენილი. მოსაზრებები დასაბუთებულია მყარი არგუმენტებით. გაკეთებულია კარგი ანალიზი.
7-9	თემა ზოგადად არის წარმოჩენილი. მოსაზრებებს ახლავს სუსტი არგუმენტები. გაკეთებულია ზედაპირული ანალიზი.
4-6	თემა არასრულად არის წარმოჩენილი. მოყვანილია სუსტი არგუმენტები. გაკეთებულია მინიმალური ანალიზი.
0-3	თემა გაუგებრად არის გადმოცემული. არგუმენტები არ არსებობს. აკლია ანალიზი.

2. სტრუქტურა და ორგანიზება (0-10 ქულა)

ქულები	აღწერა
9-10	ნაშრომს აქვს ლოგიკური და მიმზიდველი სტრუქტურა, ძლიერი შესავალი და დასკვნა. იდეები თანმიმდევრულად ვითარდება.
7-8	ნაშრომს აქვს ნათელი სტრუქტურა; ეფექტური შესავალი და დასკვნა. იდეები კარგად ვითარდება.
5-6	ნაშრომს აქვს გასაგები სტრუქტურა; ადეკვატური შესავალი და დასკვნა. იდეები ნაკლებად თანმიმდევრულად ვითარდება.

3-4	ნაშრომს აქვს არათანმიმდევრული სტრუქტურა, სუსტი შესავალი და დასკვნა. იდეები არასაკმარისად ვითარდება.
0-2	ნაშრომი არასტრუქტურირებულია. არ აქვს შესავალი და დასკვნა. იდეები ქაოტურად არის წარმოდგენილი.

3. ენა და სტილი (0-10 ქულა)

ქულები	**აღწერა**
9-10	ნაშრომი შესრულებულია მდიდარი ლექსიკით, გრამატიკულად გამართულად. აკადემიური სტილი სრულად არის დაცული.
7-8	ნაშრომი შესრულებულია კარგი ლექსიკით. დაშვებულია მცირე გრამატიკული შეცდომები. აკადემიური სტილი კარგად არის დაცული.
5-6	ნაშრომი შესრულებულია ადეკვატური ლექსიკით. დაშვებულია რამდენიმე გრამატიკული შეცდომა. აკადემიური სტილი ნაწილობრივ არის დაცული.
3-4	ნაშრომი შესრულებულია შეზღუდული ლექსიკით. დაშვებულია მრავალი გრამატიკული შეცდომა. აკადემიური სტილი ნაკლებად არის დაცული.
0-2	ნაშრომი შესრულებულია მწირი ლექსიკით. დაშვებულია მნიშვნელოვანი გრამატიკული შეცდომები. აკადემიური სტილი უგულებელყოფილია.

4. ორიგინალობა და კრიტიკული აზროვნება (0-5 ქულა)

ქულები	**აღწერა**
5	ნაშრომში გადმოცემულია ინოვაციური იდეები მაღალი დონის კრიტიკული აზროვნებით.
4	ნაშრომში გადმოცემულია ორიგინალური იდეები კარგი კრიტიკული ანალიზით.
3	ნაშრომში გადმოცემულია ზოგიერთი ორიგინალური აზრი, ნაკლებია კრიტიკული ანალიზი.
2	ნაშრომში გადმოცემულია ნაკლებად ორიგინალური იდეები, მეტად მწირია კრიტიკული ანალიზი.
0-1	ნაშრომი არ არის ორიგინალური. არ არის კრიტიკული ანალიზი.

<u>შენიშვნა: ნაშრომი არ გასწორდება თუ მსჯელობა არასაკმარისი და შემოიფარგლება მხოლოდ რამდენიმე წინადადებით.</u>

სამოტივაციო წერილის შეფასების რუბრიკა
(ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით)

1. მოტივაცია და პროფესიული მიზნები (0-15 ქულა)

ქულები	აღწერა
13-15	აპლიკანტი მკაფიოდ და დამაჯერებლად აყალიბებს მოტივაციას; დეტალურად აღწერს პროფესიულ მიზნებს.
10-12	აპლიკანტი ნათლად გამოხატავს მოტივაციას; აღწერს პროფესიულ მიზნებს.
7-9	აპლიკანტი გამოხატავს გარკვეულ მოტივაციას; ასახელებს რამდენიმე პროფესიულ მიზანს.
4-6	აპლიკანტი მცირედ გამოხატავს მოტივაციას; ზედაპირულად ახსენებს პროფესიულ მიზნებს.
0-3	აპლიკანტი ვერ გამოხატავს მკაფიო მოტივაციას; ვერ აყალიბებს პროფესიულ მიზნებს.

2. პირადი გამოცდილება და უნარები

ქულები	აღწერა
13-15	აპლიკანტი დეტალურად აღწერს რელევანტურ გამოცდილებას; ანალიზებს საკუთარ უნარებს.
10-12	აპლიკანტი აღწერს რამდენიმე რელევანტურ გამოცდილებას; განიხილავს საკუთარ უნარებს.
7-9	აპლიკანტი ახსენებს ზოგიერთ გამოცდილებას; ჩამოთვლის რამდენიმე უნარს.
4-6	აპლიკანტი ზედაპირულად ახსენებს გამოცდილებას; მცირედ ახსენებს უნარებს.
0-3	აპლიკანტი ვერ წარმოადგენს რელევანტურ გამოცდილებას; ვერ ასახელებს შესაბამის უნარებს.

3. წერილის სტრუქტურა და წერის უნარი (0-10 ქულა)

ქულები	აღწერა
9-10	აპლიკანტი ლოგიკურად აყალიბებს აზრებს; იყენებს მდიდარ ლექსიკას; წერს გრამატიკულად გამართულად.

7-8	აპლიკანტი კარგად აყალიბებს აზრებს; იყენებს შესაბამის ლექსიკას; ძირითადად წერს გრამატიკულად სწორად.
5-6	აპლიკანტი ზოგადად აყალიბებს აზრებს; იყენებს მარტივ ლექსიკას; დაშვებულია რამდენიმე გრამატიკული შეცდომა.
3-4	აპლიკანტი არათანმიმდევრულად აყალიბებს აზრებს; იყენებს შეზღუდულ ლექსიკას; დაშვებულია მრავალი გრამატიკული შეცდომა.
0-2	აპლიკანტი ვერ აყალიბებს აზრებს გასაგებად; იყენებს არაადეკვატურ ლექსიკას; წერს მნიშვნელოვანი გრამატიკული შეცდომებით.

<u>შენიშვნა: ნაშრომი არ გასწორდება თუ მსჯელობა არასაკმარისი და შემოიფარგლება მხოლოდ რამდენიმე წინადადებით.</u>

სიტუაციური ამოცანის შეფასების რუბრიკა
(ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით)

1. პრობლემის გაგება და ანალიზი (0-3 ქულა)

ქულები	**აღწერა**
3	ზუსტად არის აღქმული პრობლემა, გაანალიზებულია ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი.
2	კარგად არის წარმოდგენილი პრობლემა, გაანალიზებულია უმეტესი ასპექტი.
1	ნაწილობრივ არის გაგებული პრობლემა, ანალიზი ზედაპირულია.
0	არ არის აღქმული პრობლემა, არ არის ანალიზი.

2. გადაწყვეტის გზების შემუშავება (0-3 ქულა)

ქულები	**აღწერა**
3	წარმოდგენილია მრავალფეროვანი, ეფექტური გადაწყვეტის გზები.
2	შემოთავაზებულია რამდენიმე ადეკვატური გადაწყვეტის გზა.
1	წარმოდგენილია ერთი ან ორი ზოგადი გადაწყვეტის გზა.
0	არ არის წარმოდგენილი გადაწყვეტის გზები.

3. გადაწყვეტილების მიღება და დასაბუთება (0-3 ქულა)

ქულები	**აღწერა**

3	მიღებულია ოპტიმალურ გადაწყვეტილება, დასაბუთებულია ამომწურავად.
2	მიღებულია ადეკვატური გადაწყვეტილება, კარგად არის დასაბუთებული.
1	მიღებულია გადაწყვეტილება, მცირედ არის დასაბუთებული.
0	არ არის მიღებული გადაწყვეტილება ან არ არის დასაბუთებული.

4. წერის ხარისხი და სტრუქტურა (0-1 ქულა)

ქულები	აღწერა
1	ნათლად, ლოგიკურად და სტრუქტურირებულად არის ჩამოყალიბებული აზრები.
0	არათანმიმდევრულად ან გაუგებრად არის ჩამოყალიბებული აზრები.

საგამოცდო თემატიკა:

1. შეზღუდული შესაძლებლობის მოდელები: სამედიცინო და სოციალური მოდელები
2. შეზღუდული შესაძლებლობის კონცეფცია და შშმ პირთა უფლებების მოძრაობები:
3. ეიბლიზმის პოლიტიკა;
4. ინდივიდზე დაფუძნებული მიდგომა მომსახურების სისტემაში;
5. ინკლუზიური განათლების ფილოსოფია და ძირითადი პრინციპები;
6. ინკლუზიური განათლება საქართველოში - არსებული საკანონმდებლო რეგულაციები და მიმდინარეობა;
7. ინკლუზიური განათლების საერთაშორისო პრაქტიკა - იტალია, ისრაელი, სკანდინავიის ქვეყნები, დიდი ბრიტანეთი;
8. სწავლა -სწავლების თანამედროვე მოდელი - ინტერვენციაზე პასუხის მოდელის (RTI);
9. სწავლა -სწავლების თანამედროვე მოდელი - სწავლის უნივერსალური დიზაინი (UDL);
10. რესურსები და ინფრასტრუქტურა ინკლუზიური განათლებისთვის.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, თბილისი 2005 წ;
2. უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება; საკითხავი მასალა სოციალური მუშაობის აკადემიური პროგრამებისთვის; 2021; https://csrdg.ge/storage/files/doc/%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%AB%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%

83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-
%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90-
%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-
%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1.pdf

3. ლიკა კილაძე, ინკლუზიური განათლების შესავალი – ისტორიული მიმოხილვა; თავი 1 საკითხავი მასალიდან კურსისთვის „სპეციალური და ინკლუზიური განათლების საფუძვლები"; ავტორები: მზია წერეთელი, ლიკა კილაძე, თამარ მახარაძე, ბაია კუბლაშვილი, მარიამ რევიშვილი, თამარ მაღლაკელიძე, თათია ფოფხაძე; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა; 2023
http://cisi.tsu.ge/Files/electronic_textbooks/%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%AB%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf
4. თამარ მახარაძე, სწავლის უნივერსალური დიზაინი (UDL) და ინტერვენციაზე პასუხის მოდელი (RTI); თავი 5 საკითხავი მასალიდან კურსისთვის „სპეციალური და ინკლუზიური განათლების საფუძვლები"; ავტორები: მზია წერეთელი, ლიკა კილაძე, თამარ მახარაძე, ბაია კუბლაშვილი, მარიამ რევიშვილი, თამარ მაღლაკელიძე, თათია ფოფხაძე; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა; 2023
http://cisi.tsu.ge/Files/electronic_textbooks/%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%96%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%AB%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf
5. სოფო აბაშიძე, შეზღუდული შესაძლებლობის კონცეფცია და შშმ პირთა უფლებების მოძრაობები, მოკლე ისტორია; თავი 1 საკითხავი მასალიდან კურსისთვის „ინკლუზიის გამოწვევები საზოგადოებაში"; ავტორები: გიორგი ახმეტელი, სოფო აბაშიძე, სოფო შუბითიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა; 2023
http://cisi.tsu.ge/Files/electronic_textbooks/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%96%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98.pdf
6. სოფო აბაშიძე, შესაძლებლობათა შეზღუდვის არსებული მოდელები: ნაწილი მეორე: სოციალური მოდელი; თავი 2 საკითხავი მასალიდან კურსისთვის „ინკლუზიის გამოწვევები

საზოგადოებაში“; ავტორები: გიორგი ახმეტელი, სოფო აბაშიძე, სოფო შუბითიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა; 2023 http://cisi.tsu.ge/Files/electronic_textbooks/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%96%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98.pdf

7. სოფო აბაშიძე, ეიბლიზმის პოლიტიკა; თავი 9 საკითხავი მასალიდან კურსისთვის „ინკლუზიის გამოწვევები საზოგადოებაში“; ავტორები: გიორგი ახმეტელი, სოფო აბაშიძე, სოფო შუბითიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023 http://cisi.tsu.ge/Files/electronic_textbooks/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%96%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98.pdf
8. "საქართველოში ინკლუზიური განათლების განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2019-2023" - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.
9. "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“ - საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2022.

გისურვებთ წარმატებებს!